კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. №9-ში, საპროექტო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის, მიმდებარე შენობების კონსტრუქციული მდგომარეობის შესახებ.

საპროექტო შენობის სიახლოვეს განლაგებულია რამოდენიმე შენობა (მანძილი 9-30 მეტრი), მათ შორის ორი სასწავლო (5 და 8 სართულიანი) დანიშნულების.
მრავალბინიანი საცხოვრებელი (7-10-12 სართულიანი) სახლები და ერთსართულიანი საწარმო ნაგებობა. შენობები კარკასულია, მათი ვიზუალური დათვალიერებით რაიმე დაზიანებები კონსტრუქციული მდგრადობის მხრივ არ შეინიშნება. ორი მათგანი მშენებარეა (7 და 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლები).

საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრულია, ორსადარბაზოიანი თხუთმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სარდაფით (ჩაღრმავება 2,6 მეტრი), რომელიც კარკასულია და მის ძირითად სისტემას შეადგენს პილონებისა და დიაფრაგმების ერთობლიობა. ფუნდამენტები ხიმინჯოვანია. სრულდება ბურღვა-დატენვის მეთოდით 7-12მ ჩაღრმავებაზე ძირითად კლდოვან ქანებზე დაყრდნობით.

მშენებლობა უნდა წარიმართოს საქართველოში მოქმედ სამშ. ნორმების მიხედვით და იგი არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს არსებული შენობანაგებობების კონსტრუქციულ მდგრადობაზე.

კონსტრუქტორი: თ. მშველიძე